პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 16 იანვარი, 1952 წ. № 13 (9173). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მთავარი სოციალისტურ შეჯიბრებაში — „პრავდის“ 15-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — ერთი ფაბრიკის აგიტატორები (მე-2 გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

კ. გოგიბერიძე — მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნების დაკმაყოფილებას (მე-2 გვერდი).

ინდივიდუალური ბინათმშენებლებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის საკითხი საქალაქო საბჭოს სესიაზე (მე-2 გვერდი).

ა. ი. ვიშინსკის წიგნის „პოლიტიკურ კომიტეტში“ [illegible] ვარს (მე-3 და მე-4 გვერდ.).

ა. ი. ვიშინსკის საუბარი საფრანგეთის მუშიდოგის ეროვნული საბჭოს დელეგაციასთან (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მთავარი სოციალისტურ შეჯიბრებაში

საუოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის ძლიერი საშუალებაა, იგი მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს წარმოადგენს. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ლენინ-სტალინის იდეები საბჭოთა პატრიოტებს აღფრთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისათვის, მათ მილიონობით საბჭოთა ადამიანის გულში გაადვიძეს დიადი ენერგია კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

„შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, — თქვა ამხანაგმა სტალინმა 1930 წელს, — რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, რადაც ის ზინათ მიაჩნდათ, აქცევს ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ“.

სახელმწიფო საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში იზრდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივა, შრომითი ენთუზიაზმი და სოციალისტური შეგნება. მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში ომისშემდგომი წლების მანძილზე წარმოიშვა სტახანოვური შრომის ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმები და მეთოდები. დღითიდღე მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა. ფართოვდება კოლექტივების შეჯიბრება მოწინავე ბრიგადის, საამქროს, საწარმოს, კოლმეურნეობის წოდების მოსაპოვებლად.

ამ უკანასკნელ ხანს მოსკოვის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ სტახანოველების მ. ლეგენკინა და გ. მუხანოვის, ლიუბლინოს მექანიკურიასამხმელო ქარხნის ხარატების ა. ეანდაროვასა და ო. აგაფონოვას, გორკის ავტოქარხნის მჭედლების ა. ზაგორნიხა და ფ. კატაევის, გორლოვკელი ხამთო კომბაინის მემანქანის ვ. ხუგონიაკოს, ბაქოელი ბურღვის ოსტატის შ. ფატუულიევის, მოსკოვის ავტოქარხნის ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების და წარმოების ბევრი სხვა მოწინავის თაოსნობით წარმოიშვა შეჯიბრების ახალი ფორმები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში გაჩაღდა მოძრაობა მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. სულ უფრო ფართოდ ინერგება ჩქაროსნული დნობა, ლითონის ჩქაროსნული დამუშავება, ჩქაროსნული მშენებლობის მეთოდები, ციკლურობა ქვანახშირის მრეწველობაში. მომდინარეობს ბრძოლა ნავთის ბაბურღილების მუშაობის რემონტშორისი პერიოდის გახანგრძლივებისათვის, ლოკომოტივთა სადღეღამისო გარბენის გადიდებისათვის, ვაგონთა და გემთა ბრუნვის დაჩქარებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან უზვი მოსავლის მოყვანისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებისა და მეცხოველეობის პროდუქციულობის გადიდებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ომისშემდგომი წლების მანძილზე მოხდა არსებითი ცვლილებანი. ეს ცვლილებანი უწინარეს ყოვლისა ამით გამოიხატება, რომ მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა სერიოზულად გამდიდრდნენ უახლესი ტექნიკით, მათ მნიშვნელოვნად შეემატა მუშებისა და სპეციალისტების მაღალკვალიფიციური კადრები.

ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, კადრების ზრდა საშუალებას აძლევს სახალხო მეურნეობას უფრო წარმატებით გადაწყვიტოს საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ყველაზე რთული ამოცანები. ამავე დროს ზოგიერთი პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანო შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ყოველთვის როდი ითვალისწინებს აღნიშნულ ცვლილებებს, და შეჯიბრების მოწყობაში მათ არსებითი ნაკლოვანებები აქვთ.

ზოგიერთ საწარმოსა და კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ მიმართულია უმთავრესად იმისაკენ, რომ მიღწეულ იქნას რაოდენობრივი შედეგები, ხოლო ხაკმაო ბრძოლა არ წარმოებს მუშაობის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის. ბევრი საწარმო გეგმას გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის ხარისხის საზარალოდ, ვერ ასრულებს რა მთავრობის დავალებებს ნაწარმის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მხრივ, ზედმეტად ბარჯავს ნედლეულს, სათობს, ელექტროენერგიას, დიდი დანაკარგები აქვს წუნისა და ნარჩენების გამო. დროა ბოლო მოეღოს ასეთ არასახელმწიფოებრივ პრაქტიკას.

პარტია და მთავრობა მიგვითითებენ, რომ ახლა თვითეული საამქროს, საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმების დაწესებული ნომენკლატურითა და ასორტიმენტით აუცილებელად შესრულებასთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ამოცანებია: ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შინარეზერვების სწორად გამოყენებისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის გადიდებისა და წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ ამოცანების გადაწყვეტა მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში უნდა გავითვალისწინოთ სერიოზული ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მოხდა, და კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ამჟამად დასახულია მრეწველობის ამა თუ იმ დარგის წინაშე, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის წინაშე.

ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ხაშენ მასალათა მრეწველობის, ქიმიური და ხე-ტყის—დამამზადებელი მრეწველობის მუშაკები, აჩაღებენ რა შეჯიბრებას, მოწოდებული არიან უწინარეს ყოვლისა თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ თვითეული აგრეგატის წარმადობის მაქსიმალურ გადიდებას და ამ საფუძველზე პროდუქციის გამოშვების ზრდას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას.

მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშათა და სპეციალისტთა მთავარი ამოცანებია მიაღწიონ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი თვითღირებულების შემცირებას, ნედლეულისა და მასალების ეკონომიას, უზრუნველყონ საწარმოთა რიტმული მუშაობა, აამაღლონ წარმოების კულტურა.

მშენებლობის მუშათა და სპეციალისტთა მოვალეობათა მთავარი ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, დაჩქარონ ახალი ობიექტების ამოშავება, მიაღწიონ მშენებლობის თვითღირებულების შემდგომ შემცირებას და ხარისხის ამაღლებას, უფრო სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ სამშენებლო მანქანები და მექანიზმები, უფრო მომჭირნეობით ხარჯონ საშენი მასალები.

წელს სერიოზული და პასუხისაგები ამოცანები დგას ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე. მათ უწინარეს ყოვლისა მოეთხოვებათ გადიდონ ტვირთზიდვის მოცულობა, დაჩქარონ ვაგონების და გემების ბრუნვა, გადიდონ ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენი, უზრუნველყონ ტრანსპორტის მუშაობა ზუსტად გრაფიკის მიხედვით, შეამცირონ ტვირთზიდვის თვითღირებულება, უფრო მომჭირნეობით ხარჯონ საწვავი.

კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მთელი ძალ-ღონე უნდა მოხმარდეს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებით შესრულებას. მთავარი ამოცანის გადაწყვეტას—ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გადიდებას და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას, ტექნიკის სრულ და მაღალნაყოფიერ გამოყენებას.

იმ ახალი სერიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რომლებიც დგას სახალხო მეურნეობის წინაშე 1952 წელს, უდიდესი როლი უნდა შეასრულოს სოციალისტურმა შეჯიბრებამ. მაგრამ ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, საწარმოს ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ შეჯიბრების გაჩაღებას, შეეჩვევნენ ცალკეულ საწარმოთა მიერ საწარმოო გეგმების სისტემატურ შეუსრულებლობას და გადამჭრელ ღონისძიებებს არ იღებენ მოწინავეთა დონემდე ჩამორჩენილ საწარმოთა წამოსაწევად.

შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებები აქვთ მთელ რიგ პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ბევრი მათგანი იშვიათად იხილავს შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებს, გვერდს უვლის ხერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს ამ საქმეში. მთელ რიგ საწარმოებში სოციალისტურ ვალდებულებათა აღება და შეჯიბრების შედეგების შეჯამება ხდება დაგვიანებით, ფორმალურად, მუშათა კრებებზე, განუხილველად. ამის შედეგად ვალდებულებანი ხშირად არ შეესაბამება ამა თუ იმ საწარმოს ან საამქროს წინაშე დასახულ ამოცანებს, არ შეესაბამება შრომის ნაყოფიერების მიღწეულ დონეს და არსებულ შესაძლებლობებს.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან გადაჭრით გაუმჯობესონ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა, აღმოფხვრან ფორმალიზმი ამ საქმეში, უზრუნველყონ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა მუშის, კოლმეურნის, სპეციალისტის აქტიური მონაწილეობა.

საჭიროა ყოველდღიურად დავეხმაროთ შეჯიბრებაში ჩაბმულთ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, უფრო ფართოდ, უფრო მტკიცედ გავავრცელოთ წარმოების მოწინავეთა გამოცდილება, ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი ძვირფას თაოსნობას, რახაც სოციალისტური შეჯიბრება წარმოშობს, მივაღწიოთ იმას, რომ ჩამორჩენილები მოწინავეთა დონემდე ამაღლდნენ.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჩვენს სახალხო მეურნეობას უდიდესი წარმატებები მოუტანა. ახალ წელს საბჭოთა ადამიანები ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით შეჯიბრებას წარმართავენ მთავარი ამოცანების გადასაწყვეტად, მიაღწევენ საბჭოთა ეკონომიკის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას და ამ საფუძველზე უზრუნველყოფენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

„პრავდის“ 15/I მოწინავე

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

★

აითვისეს ახალი დეზაღების დამზადება

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის შრომითი რეზერვების მეოთხე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა ამ დღეებში წარმატებით აითვისეს სახარატო დაზგის კუთხივი მჭრელის ორი კვანძი — წინასაფარი და მიწოდების ყუთი. ამ დეტალების ტექნიკურმა შემოწმებამ ცხადყო მათი მაღალი ხარისხი.

აღნიშნული კვანძების მასობრივი წარმოება უკვე დაიწყო სასწავლებლის სახელოსნოებში. დამზადებულია 130 სამარჯვი და საჭრელი იარაღი.

ახალი ნაწილების სწრაფად ათვისებაში თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა ჯ. სუთაიძემ, ვ. თურქიამ, გ. სულაბერიძემ და სხვებმა.

რაციონალიზაციურ წინადადებათა განხორციელებით

ფოთი. (საკ. კორ.). ახალი წელი ქალაქის საწარმოებში დიდი აღმავლობით დაიწყო: მოწინავე ადამიანები იბრძვიან წარმოებაში სიახლის დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია წიაქვილ-კომბინატის მთავარი მექანიკოსი შ. გეგეჭკორი. 1951 წელს მისი წინადადებით გაკეთდა სტაციონარული პნევმატური (ჰაერსაკრები) დანადგარი სპეციალური სახსროვანი მექანიზმით. გაუმჯობესებული ტიპის დანადგარი 1 საათით ამცირებს გემების დაცლის დროს და ათავისუფლებს 3 მუშას. მალე აქ მოეწყობა კიდევ 3 ასეთივე ტიპის დანადგარი, რაც წისქვილკომბინატს ყოველწლიურად მისცემს 47.200 მანეთ ეკონომიას.

გემთშემკეთებელ სახელოსნოში გასული წელს 18 რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით მიღებულ იქნა 23.000 მანეთის ეკონომია. სახელოსნოს მუშაკმა ნ. ტურძელაძემ საზღვაო ტაქსების საყელურების დასამზადებლად გამოიყენა მილების ჩამონაჭრები, რითაც დაზოგა 200 კილოგრამი ფერადი ლითონი და რამდენიმე ასეული მანეთის დამხმარე მასალა.

მექანიზაციურთა წარმატება

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ტყეიავის მტს-მა (დირექტორი დ. დადიანი) ვადამდე მაღალხარისხოვნად დაამთავრა ტრაქტორების საზამთრო რემონტის დავალება. გეგმის გადამეტებით შეკეთებულია 12 ტრაქტორი. ახლა წარმატებით მომდინარეობს მისაბმელი იარაღ-მანქანებისა და კომბაინების რემონტი. უკვე შეკეთებულია 16 სათესი მანქანა და ერთი კომბაინი.

სტახანოვური მუშაობით თავი ჩახელეს ზ. ხმიადაშვილის და ე. მძინარაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა. ამხ. მძინარაშვილის ბრიგადა მზად არის საგაზაფხულო სამუშაოების დასაწყებად. შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს იძლევიან რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტები ც. მაისურაძე, ს. ჯაშაშვილი, ო. ნიგოზაშვილი და სხვები.

მტს-მა რემონტზე მნიშვნელოვანი ეკონომია გასწია. ნაცვლად 64.035 მანეთისა დახარჯულია 24.730 მანეთი.

საღამოობით მიმდინარეობს მექანიზატორთა შეცადინეობა. 30 მექანიზატორი ეუფლება რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ახალი საწყობები, საკოლმეურნეო საწარმოები, საცხოვრებელი სახლები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარ სამმართველოში მიღებული ცნობებით შარშან რესპუბლიკის ოლქებისა და რაიონების კოლმეურნეობებმა თავიანთი სარგებლობისათვის ააშენეს 21.200 ტონა ტევადობის მარცვლეულის 216 საწყობი, 15.936 ტონა ტევადობის 385 სასილოსე კოშკი, 53 აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლებიც წელიწადში 6.380.000 ცალ აგურსა და 180.000 ცალ კრამიტს გამოუშვებენ. აშენებულია კრამიტის 9 ქარხანა, რომლებიც ყოველწლიურად 1 მილიონ 20 ათას ცალ კრამიტს მოგვცემენ. აგებულია 53 კირის ქარხანა, 87 საკოლმეურნეო სამქედლო, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები 8 ფარდული, 67 საკოლმეურნეო გარაჟი, 48 წისქვილი, 39 თაფლა, 417 ბოსელი, 64 სახბორე სადგომი, 181 ბაკი ცხვრისა და თხისათვის და შინაური ფრინველის 546 სადგომი.

ამასთან კოლმეურნეობებმა თავიანთი სახსრებით ააშენეს საშუალო სკოლის 19 შენობა, 5 სბავშვო ბაღი, 10 სამშობიარო სახლი და 2.324 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.



თბილისი. ქარხანა „დაზგა“. ამწყობ-შემკეთებელი საამქროს ოსტატი ა. ბეღანოვი ახალგაზრდა ზეინკალს ელგუჯა თეთვაძეს, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ დაამთავრა სახელოსნო სასწავლებელი, უხსნის დახამუშავებული დეტალის ტექნიკური ნახაზს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

მეჯი ქვანახშირისათვის მებრძოლნი

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელმა მეშახტეებმა მაღალნაყოფიერი ძუშაობით დაიწყეს ახალი სამეურნეო წელი. იანვრის პირველი დეკადა თვალსაჩინო წარმატებით აღნიშნა ლენინის შახტმა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს პირველი უბნის კოლექტივი, რომელმაც იანვრის პირველ ათ დღეში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირი ამოიღო და დეკადის დავალებას 49 პროცენტით გადაჭარბა. სადღეღამისო დავალებას ასევე წარმატებით ანაღდებს ამავე შახტის მესამე უბნის კოლექტივი, რომელსაც ახლად დაწინაურებული ახალგაზრდა სამთო ინჟინერი ვ. პატარიძე ხელმძღვანელობს.

შახტში მიმდინარეობს მზადება ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკურ ვსებაზე გადასასვლელად, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ქვანახშირის დანაკარგებს, შექმნის პირობას შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალ ფორმაზე — ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადასასვლელად.

ახალი წლის პირველი დღეებიდან დაწინაურდა და იანვრის პირველი დეკადის დავალება გადამეტებით შეასრულა სტალინის სახელობის შახტმა, რომელიც მარშან ბოლო თვეებში ჩამორჩებოდა. ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდების ათვისებით საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა და იანვრის პირველი დეკადის გეგმა 119 პროცენტით გაანაღდა იმ საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც ინჟინერი მ. ბერულაშვილი ხელმძღვანელობს. შახტის ცვლებიდან ყველაზე ნაყოფიერად მუშაობენ გ. ფანჩულიძისა და სოფრომაძის ცვლები. პირველმა დეკადური დავალება 126,6 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მეორემ — 119,4 პროცენტით.

სტახანოვურად მუშაობენ გელათელი მეშახტეებიც. იანვრის პირველი ათდღიურის გეგმა აქ 106.2 პროცენტით შეასრულეს.

ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებენ

ახალ სამეურნეო წელს თბილისის სამგზავრო სავაგონო უბნის კოლექტივი მომზადებული შეხვდა. საამქროებსა და ბრიგადებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ძირითად პირობად დასახულია შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. მევაგონეები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოველი ნოვატორების მარიამ ლევჩენკოსა და გრიგოლ მუხანოვის თაოსნობას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების დარგში. აქ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა აგრეთვე ლიუბლინოელი ხარატების ანტონინა ეანდაროვასა და ოლგა აგაფონოვას თაოსნობამ.

აწევითი შეკეთების საამქრომ, რომელმაც გასული წლის საწარმოო დავალება 191,9 პროცენტით შეასრულა, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მაღალი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვა. საამქრო ყოველდღიურ დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. სტახანოველმა ზეინკალმა ილია გურაშვილმა დაამზადა ხელსაწყო, რომელმაც ხარატებს საშუალება მისცა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ვაგონის გადასაბმელები დაამზადონ. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე საუკეთესო ხარისხით შესრულების შესახებ პირნათლად ასრულებენ საამქროს სტახანოველი ზეინკლები ს. სტულნიეკი, ბ. ვალატოვსკი, ხარატები ვ. ქანთარია, გ. გურაშვილი და სხვები.

საუკეთესო მაჩვენებლები აქვს აგრეთვე სადურგლო საამქროსაც, რომელსაც ოსტატი ი. ქიტიაშვილი ხელმძღვანელობს. საამქრო ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სამუხრუჭე საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ზაქარია რთველიაშვილმა სპეციალური სამარჯვით ჰაერის გამანაწილებლის ხელით შეკეთება მექანიკურით შეცვალა. ამის შედეგად თუ წინათ ერთი მუშა 8 საათის განმავლობაში 4 ცალ აღნიშნულ დეტალს ამზადებდა, ამჟამად უკვე 48 ცალს ამზადებს.

ოთხი მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხანამ, რომელმაც ყველა საასორტიმენტო მაჩვენებლის მიხედვით წლიური გეგმა ჯერ კიდევ 27 სექტემბრისათვის შეასრულა. სექტემბრის დარჩენილ დღეებსა და მეოთხე კვარტალში გამოშვებულია ათნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სასაქონლო პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მარტო ზეგეგმითი დაგროვება ოთხ მილიონ მანეთს აჭარბებს.

ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი პირველხარისხოვანი პროდუქციის ბრიგადების მაღალნაყოფიერმა მუშაობამ. კონიაკის შემზავებელ გ. მატახერიას, ჩამომსხმელ-გამფორმებელ ნ. დანელიანის და ე. შაყულაშვილის, ბოთლების მრეცხავების ქ. ჯანელიძის, ტარის მიმღებ-დამხარისხებლების ე. ისაევას და პროდუქციის შემფუთავების გ. ჩოგარიანის ბრიგადები გამომუშავების ნორმებს მუდამ დიდი გადაჭარბებით და საუკეთესო ხარისხით ასრულებენ.

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ყველა ამ ბრიგადას სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდება მიაკუთვნა და ქების სიგელები გადასცა. აღნიშნული ბრიგადები, აგრეთვე საამქროები მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით წარდგენილი არიან საუკეთესო ხარისხის ბრიგადისა და საუკეთესო ხარისხის საამქროს სატიო წოდების მოსაპოვებლად. ნატურალური პროდუქციის გამოშვების მეოთხე კვარტალის გეგმა ქარხნის კოლექტივმა 163,1 პროცენტით გაანაღდა.

წელს ქარხანამ 31.250 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას, რაც 3,5 პროცენტით სჭარბობს შარშანდელი გეგმის ფაქტიურ შესრულებას. ქარხნის კოლექტივი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე მთელი ენერგიით მუშაობს ამ გადიდებული დავალების ვადამდე შესრულებისა და ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ავტომატური საფეიქრო მოწყობილობა

ლენინგრადი, 12 იანვარი. (საკ. ინ.). კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო სერიული წარმოება უახლესი საფეიქრო ავტომატური ხაზებისა და აგრეგატებისა, რომელთა საცდელი ნიმუშები დამზადებულ და გამოცდილ იქნა გასული წლის დამლევს.

დღეს ერთ-ერთ საფეიქრო საწარმოს გაეგზავნა განუწყვეტლივი მოქმედების მანქანა, რომელიც ვისკოზის ნართს ამზადებს. ეს ნართი იხმარება ავტომობილის საფარია გასამკვიდრებლად და აბრეშუმის ტრიკოტაჟის მისაღებად. ტექნოლოგიური პროცესი ვისკოზის ჩვეულებრივ, არაავტომატურ, მანქანებთან შედარებით 450-ჯერ დაჩქარდა.

დაიწყო კაპრონის სართავი აგრეგატების სერიის აწყობა.

ხელოვნური აბრეშუმის მაგარ ძაფს ტრალური ბადეებისა და ტექნიკური ქსოვილისათვის გამოიმუშავებენ ავტომატები, რომელთა სერიული დამზადება იანვრის პირველი დღეებიდან დაიწყო.

მთელი მოწყობილობა შექმნილია ქარხნის კონსტრუქტორთა ნახაზების მიხედვით. მათს გაუმჯობესებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ნოვატორი მუშები.

ამჟამად საკონსტრუქტორო ბიუროში დაპროექტებულია მთელი რიგი ახალი აგრეგატები, რომლებსაც ქარხანა აგრეთვე წელს გამოუშვებს.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოს დიდი რუსი მწერლის შემოქმედების ფართო პროპაგანდა.

გადაწყდა, რომ რუსეთის ფედერაციის კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, სოფლის კლუბებში, ლექტორიუმებში, მუზეუმებში მოეწყოს საუბრები, ლექციები და მოხსენებები, გაიმართოს ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები და დილის წარმოდგენები.

საოპერო, სამხატვრო და რესპუბლიკური სალექციო ბიუროები აწყობენ ლექციებს „გოგოლი და რუსული ლიტერატურა“, „დიდი რუსი მწერალი ნ. ვ. გოგოლი“, „გოგოლი და რუსული თეატრი“. მასობრივი ლექციების ილუსტრაციისათვის უშვებენ დიაპოზიტიურ ფილმს.

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მზადდება საკავშირო გამოფენა „ნ. ვ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება“. კულტურულ-საგანმანათლებლო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მონოგრაფიული ბროშურების სერია და წიგნი მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ. (საკ.).

შრომები საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების ბიუროს 9 იანვარს მოისმინა საანგარიშო მოხსენება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტის 1951 წლის მუშაობის შესახებ. როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვ. ს. კემენოვმა თავის მოხსენებაში განაცხადა, ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტმა ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან და ისტორიის სახელმწიფო მუზეუმთან ერთად მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია შუა ვოლგისპირეთისა და კამის ზემო წელში ხალხური არქიტექტურის, ყოფაცხოვრებისა და გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების შესასწავლად. ექსპედიციამ შეკრიბა მასალები, რომლებიც გამოიცემა ალბომად „შუა ვოლგისა და კამის ზემო წელის ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები“.

ინსტიტუტი გამოსაქვეყნებლად ამზადებს საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის აკადემიკოს ბ. ვ. ასაფიევის რჩეულ თხზულებებს, მონოგრაფიებს საბჭოთა ეპოქის თვალსაჩინო ხუროთმოძღვრების აკადემიკოსების ა. ვ შჩუსევისა და ვ. ა. ვეხნინის შემოქმედების შესახებ.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში ცენტრალური ადგილი უკავია საბჭოთა სახვითი ხელოვნების, საბჭოთა მუსიკის, თეატრის ისტორიის დარგის შრომების მომზადებას და სხვ. შარშან შესრულებულ ორიგინალურ გამოკვლევათა შორის დასახელებულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ა. სიდოროვის ნაშრომი „რუსული ნახატის ისტორია“ (ტომი II), აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის ბ. რ. ვიპერის გამოკვლევა „იტალიის XVI საუკუნის ხელოვნების ისტორია“.

ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაობის შედეგების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტებმა ა. დ. უდალცოვმა, მ. ნ. ტიხომირეროვმა და ნ. მ. დრუჟინინმა, პროფესორმა ს. ვ. კისელიოვამ და სხვებმა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტმა გააუმჯობესა მუშაობა და შეასრულა 1951 წლის გამოკვლევათა გეგმა. მაგრამ მის მიერ გამოშვებული შრომების რაოდენობა ჯერ კიდევ უმნიშვნელოა მოწინავე საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მზარდ ამოცანებთან შედარებით. (საკ.).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინა 1 თებერვალს მოსკოვის მეცნიერთა სახლში მოიწვიოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება, რომელიც მიეძღვნება მეცნიერული მოღვაწეობის შედეგების შეჯამებასა და 1951 წლის განმავლობაში დამთავრებულ მეცნიერულ ნაშრომთა დანერგვას. (საკ.).

პარტიული ცხოვრება

ერთი ფაბრიკის აგიტაციორები

მასების სოციალისტური შეგნების ამაღლების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს ბოლშევიკური აგიტაცია.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგიტაციას წარმოებაში. როცა აგიტაცია მაღალიდეური, მიზანდასახული და მებრძოლია, იგი სერიოზულ გავლენას ახდენს საწარმოს სამეურნეო წარმატებებზე.

ამას ნათლად მოწმობს მიქოიანის სახელობის ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის მოწინავე აგიტატორთა მუშაობის გამოცდილება.

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა კვების მრეწველობის ხაზით ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა რესპუბლიკაში. იგი სისტემატურად ზრდის თავის საწარმოო მაჩვენებლებს, ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, შრომის ნაყოფიერებას, აქცირებს თვითღირებულებას.

ფაბრიკის წარმატებებში დიდ როლს ასრულებს მებრძოლი, ქმედითი აგიტაცია, რომელსაც ფაბრიკის პარტორგანიზაცია უნარიანად წარმართავს. საგიტაციო მუშაობაში ჩაბმულია ფაბრიკის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი და მოწინავე სტახანოველი. კოლექტივის წინაშე ხშირად გამოდიან საინტერესო და შინაარსიანი საუბრებითა და მოხსენებებით ფაბრიკის დირექტორი კ. ვარდანაშვილი, მთავარი ინჟინერი ლ. ცანავა, საგეგმო განყოფილების უფროსი ნ. აპიანცი, წარმოების ნოვატორი შინკალი მ. ჯარაკოზოვი, ლაბორატორიის გამგე ა. შჩერბაკოვა, საავქროს უფროსები მ. შავლაძე, ა. მურადოვი, პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ე. ვისარიდი და სხვები.

აგიტაციას ფაბრიკაში ქმედითს ხასიათს აძლევს უპირველეს ყოვლისა ის, რომ აგიტატორები პირადი მაგალითით რაზმავენ კოლექტივს ახლის, პროგრესულისათვის ბრძოლაში. ისინი გულდასმით სწავლობენ წარმოების ნოვატორთა მდიდარ გამოცდილებას და შემდეგ გულმოდგინედ გადასცემენ მას მუშებს, იბრძვიან მისი დანერგვისათვის.

ამას წინათ ფაბრიკის მუშებთან საინტერესო საუბარი გამართა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ლ. ცანავამ. საუბრის თემა იყო ფაბრიკის კოლექტივის ბრძოლა ახლისათვის, პროგრესულისათვის.

აგიტატორმა მუშებს მოუთხრო მშვიდობიანი შრომის დიად მიღწევებზე ჩვენს ქვეყანაში, ილაპარაკა მილიონობით საბჭოთა ადამიანების გმირულ, თავდადებულ შრომაზე, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ნოვატორებზე, რომლებიც სულ უფრო აუმჯობესებენ შრომის მეთოდებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აქცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, გაბედულად იბრძვიან ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. ამხ. ცანავამ ეს ცხადყო ფაბრიკის მოწინავე ადამიანების მუშაობის მაგალითებით. მან ილაპარაკა ფაბრიკის სტახანოველების — ვ. ხვიჩიას, გ. პუზანოვას, ვ. შუხატიანის, ს. გობრონიძის, ა. ვახრატიანის, გ. დგებუაძის, შ. ჯიქიას, რ. ჩარნოს, შ. ანტონიანის და სხვათა ნოვატორულ შრომაზე, იმაზე, თუ როგორ იყენებენ ისინი ტექნიკას, როგორ იბრძვიან წარმოების კულტურისათვის.

მაღალ იდეურ დონეზე მოწყობილი საგიტაციო მუშაობის შედეგიც არის, რომ თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა აჭარაში ერთ-ერთმა პირველმა გააჩაღა მუშაობა ინჟინერ კოვალიოვის თაოსნობის წარმოებაში დანერგვისათვის. ფაბრიკის დირექცია და პარტორგანიზაცია სთათვეში ჩაუდგნენ საუკეთესო სტახანოველების, უმაღლესი ხარისხის თამბაქოს დამხარისხებლის ს. პროხოროვას, მეჭილზეების ა. ვახრატიანის, მ. გრებენიუკისა და ა. უსაპენკოს, პაპიროსის მტენავების ე. კოვალიოვას და რ. ბარჩუკოვას და სხვებს მუშაობის მოწინავე ხერხების დაწვრილებით შესწავლას და წარმოებაში ფართოდ დანერგვას. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ათობით მუშა, რომელიც წინათ ჩამორჩებოდა, დღეს სტახანოველთა რიგებში დგას.

ფაბრიკის კოლექტივი საქმით გამოეხმაურა ცნობილი ნოვატორის ა. ჩუტკიხის ინიციატივას. რვა ბრიგადიდან, რომლებიც ჩაბმული არიან ამ შესანიშნავ მოძრაობაში, ხუთს უკვე მიენიჭა საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სატიტო წოდება. ა. ყანდაროვასა და ო. აგაფონოვას ცნობილ თაოსნობაზე გამოხმაურების შედეგად ფაბრიკაში იზრდება საუკეთესოდ შესრულებულ საწარმოო ოპერაციათა რიცხვი, რამაც პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება გამოიწვია.

ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. უკვე მიღებულია ლ. კორაბელნიკოვას თაოსნობის წარმოებაში დანერგვის პირველი შედეგები.

ამჟამად ფაბრიკაში დიდი მუშაობა გაჩაღდა მოსკოველი ნოვატორების მ. ლევჩენკოსა და ა. მუხანოვას პატრიოტული ინიციატივის წარმოებაში დასანერგავად. ამ მიზნით საამქროების ყველა მუშაზე გახსნილია პირადი ანგარიშები, სადაც ყოველდღიურად აღინიშნება მათი მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები.

ფაბრიკაში განუხრელად იზრდება რაციონალიზატორთა რიგები. 11 თვის განმავლობაში შემოსულია 45 რაციონალიზატორული წინადადება. მექანიკოს ვ. ბოგუსლავსკის წინადადების მიხედვით ჩამწყობი მანქანების რეკონსტრუქციის შედეგად 50 პროცენტით გაიზარდა მანქანების საწარმოო სიმძლავრე და ფაბრიკამ 33 ათასი მანეთი წლიური ეკონომია მიიღო.

აგიტატორმა ილაპარაკა ფაბრიკის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზეც. ფაბრიკაში მთელი რეზერვები როდია ამოწურული,—აღნიშნა აგიტატორმა. ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ დაზგებსა და მოწყობილობას, არის მათი მოცდენის შემთხვევებიც. ამას წინათ დამტენავ საამქროში მექანიკური საამქროს მუშაკების მიზეზით ერთ-ერთი მანქანა 10-12 საათის ნაცვლად სამ დღეს გაცდა. არის შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებიც. სუსტად არის გაშლილი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა, რაც იწვევს ცალკეულ მუშათა ჩამორჩენას, ხოლო ეს უკან სწევს ფაბრიკის საერთო მაჩვენებლებს. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება წინ წასწევს საქმეს.

ასეთ კონკრეტული ხასიათის საუბრებს ხშირად მართავს აგიტატორი ლ. ცანავა.

ფაბრიკის მოწინავე აგიტატორი ზეინკალი ე. კარაკოზოვი ბეჯითად მუშაობს თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. გულმოდგინედ ეუფლება პროფესიას და, რაც მთავარია, პირადი შრომით მაგალითს უჩვენებს სხვებს. იგი საწარმოო დავალებას ყოველდღიურად 200-250 პროცენტით ანაღდებს. ამასთან აქტიური რაციონალიზატორიც არის და მუშაობაში ინიციატივას იჩენს. მუყაოს მჭრელი მანქანებისათვის ფაბრიკა წინათ დანებს უშუალოდ მოსკოვიდან იღებდა. კარაკოზოვმა გადაწყვიტა დანის ადგილზე დამზადება და ჩინებულადაც გაართვა თავი ამ საქმეს. საკოლოფე საამქროში, სადაც იგი აგიტატორად მუშაობს, ყველა მომუშავე — 30 კაცი — სტახანოველია.

პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას ფაბრიკის ლაბორატორიის გამგე აგიტატორი ა. შჩერბაკოვა. თამბაქოს საამქროში მან წელს ბევრი საინტერესო საუბარი მოაწყო. მისი საუბრის თემებია წარმოების კულტურის საკითხი, საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის ბრძოლა, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა საამქროში და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა, მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები და სხვ.

აგიტატორთა მუშაობას კარგად ხელმძღვანელობს აგიტკოლექტივი. საყურადღებოა ფაბრიკის პარტორგანიზაციის გამოცდილება, იმ მხრივ, რომ აგიტკოლექტივში მეცადინეობის გასამართავად ხშირად იწვევენ სპეციალისტებს. მაგალითად, ეკონომიურ საკითხებზე მეცადინეობას საგეგმო განყოფილების უფროსი ნ. აპიანცი აწყობს, საწარმოო საკითხებზე — ფაბრიკის დირექტორი ან მთავარი ინჟინერი და ა. შ.

საგიტაციო მუშაობაში არის ნაკლოვანებანიც. არასაკმაოდ ხდება საგიტაციო მუშაობის საკითხების განხილვა პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე, პრაქტიკაში დანერგილი არ არის აგიტატორთა ანგარიშების მოსმენა. ზოგიერთ საწარმოო უბანზე საგიტაციო საუბრები არ ეწყობა. პარტორგანიზაციამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აგიტაციის მოწყობას ღამის ცვლებში. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარებას.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება ადვილად შეუძლია ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას.

დ. კაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისი. მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საქსოვ საამქროში სტახანოვურად მუშაობს და მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს მოწინავე მქსოველი თამარ მოხაძე. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე იგი ნორმას 118-120 პროცენტით ახრულებს. სურათზეა: თამარ მოხაძე საქსოვ დაზგასთან.

ფოტო ვ. ჩხეტიანისა

მეჯი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნების დაკმაყოფილებას

ყოველდღიურად იზრდება მომხმარებლის მოთხოვნილება მსუბუქი მრეწველობის მაღალხარისხოვან ნაწარმზე — შესაკერ და შეკერილ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ტრიკოტაჟის ნაწარმზე. სამწუხაროდ, საავჭრო ორგანიზაციები ყოველთვის როდი აკმაყოფილებენ მშრომელთა ფართო მასების ამ მოთხოვნილებას. მაღაზიებში შეხვდებით პატარა ზომის (44, 46, 48) კოსტუმს, პალტოს, შარვალს, ხალათს და სხვა შეკერილ ტანსაცმელს, მაგრამ საკმაო რაოდენობით ვერ ნახავთ დიდი ზომისას (54, 56, 58). თავის დროზე არ არის აგრეთვე სეზონური ტანსაცმელი. მაგალითად, მარშან სამკერვალო ფაბრიკებმა დაგვიანებით გამოუშვეს ზამთრის სეზონის ტანსაცმელი: პალტო, კოსტუმი, ქალის კაბები, ხალათები და სხვ. არის შეძთხვევები, როცა მაღაზიებში ზამთრის სეზონის ტანსაცმელი აწყვია გაზაფხულზე და ზაფხულში, ხოლო ზაფხულის სეზონისა — შემოდგომაზე და ზამთარში. ამაში ბრალი მიუძღვის ზოგიერთ საავჭრო ორგანიზაციას, სამკერვალო ფაბრიკებს და გამსაღებელ ბაზებს.

გასული წლიდან შეკერილ ტანსაცმელზე შემოღებულია წინასწარი შეკვეთები. საავჭრო ორგანიზაციებიდან მიღებულ შეკვეთებს თბილისის შეკერილი ტანსაცმლის საავჭრო ბაზა შესასრულებლად აძლევს სამკერვალო ფაბრიკებს. ამ შეკვეთების მიცემისას ზოგიერთი საავჭრო ორგანიზაცია შეცდომებს უშვებს. მაგალითად, 1951 წლის მე-4 კვარტალში საქვაჭრობის ახალქალაქის და დუშეთის განყოფილებებს, ახალციხის და სხვა რაიკოოპავშირებს, მოცემული ჰქონდათ შეკვეთები ტილოს შარვალსა და „ტოლსტოვკაზე“. „გლავლეგსბიტის“ თბილისის შეკერილი ტანსაცმლის საავჭრო ბაზამ რუსეთის ბორეულ რაიონებში მე-3 კვარტალში გამოყოფილი ფონდიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებში გაგზავნა თეთრი ტილოს შარვლები და „ტოლსტოვკები“. აღნიშნული საქონელი, ცხადია, მიმდინარე წლის ზაფხულამდე მაღაზიებში ჩაწოლილი იქნება.

საავჭრო ორგანიზაციებისა და საავჭრო ბაზების ასეთ მოუქნელ მუშაობას საერთო არაფერი აქვს საბჭოთა კულტურულ ვაჭრობასთან. საავჭრო ორგანიზაციებმა შეკვეთების მიცემის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფართო მასების მოთხოვნილებას შეკერილ ტანსაცმელზე სეზონის მიხედვით, ხოლო შეკერილი ტანსაცმლის საავჭრო ბაზის მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ შორეული რაიონებისათვის კუთვნილი საქონლის დროზე გაგზავნა.

მომხმარებლები საყვედურს გამოთქვამენ საავჭრო ორგანიზაციების მიმართ იმისათვის, რომ მაღაზიებში ზოგჯერ ვერ შოულობენ იმ საქონელს, რომელიც მათ სურთ. მაგალითად, მომხმარებელს სურს შეიძინოს დრაპის სალალტოვე, კარგი ხარისხის შეკერილი პალტო, კოსტუმი და სხვა, მაგრამ მაღაზიებში ჯერჯერობით უმეტესად ბობრიკის პალტოებია. საქონლის ასორტიმენტიც არ არის დაცული. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგ შემთხვევაში კარგი ხარისხის საქონელი გადამყიდველებს უვარდებათ ხელში, ხოლო გადამყიდველების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ვაჭრობაში ასეთი ნაკლოვანებანი არა მარტო საავჭრო ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობით არის გამოწვეული, არამედ ამ საქმეში დამნაშავენი არიან შეკერილი ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის ბაზებიც, აგრეთვე თვით სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკებიც, რომელთა ამოცანაა დაამზადონ სათანადო ზომის მაღალხარისხოვანი ნაწარმი ფართო ასორტიმენტის დაცვით, მიღებული შეკვეთების თანახმად.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხანაგ ა. კოსიგინის ბრძანებებში აღნიშნულია, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ ფაბრიკებში დღემდე ვერ ასრულებენ სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთებს, რომლებიც მიღებულია საავჭრო ბაზებიდან. აღნიშნული ბრძანებები სამუშაო პროგრამაა სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკების ხელმძღვანელობისა და მუშათა კოლექტივებისათვის. აქედან მათ სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მთელი რიგი ფაბრიკები არასაკმაოდ იბრძვიან მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების, ზომებისა და ასორტიმენტის დაცვის, შეკვეთების ზუსტად შესრულებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. მაგალითად, 11 ოქტომბერს 1-ლი და მე-7 სამკერვალო ფაბრიკებიდან შეკერილი ტანსაცმლის თბილისის სავაჭრო ბაზაში გამოიგზავნა შეკერილი ნაწარმი, რომელიც უკან იქნა დაბრუნებული ზომების შკალის დარღვევისათვის. ამავე მიზეზით აგრეთვე მრავალჯერ დაბრუნეს „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკის (დირექტორი ამხ. ალექსიშვილი) ნაწარმი.

მართალია, სამკერვალო ფაბრიკებმა ამ უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს შეკერილი ნაწარმის ხარისხი, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

წუნდებული საქონლის გამოშვების, ზომების შკალის დარღვევისა და გეგმით გათვალისწინებული საქონლის ჩაუბარებლობისათვის შეკერილი ტანსაცმლის საავჭრო ბაზამ გასულ წელს დააჯარიმა 1-ლი სამკერვალო ფაბრიკა — 127.869 მანეთით. მე-2 ფაბრიკა — 152.036 მანეთით, მე-7 ფაბრიკა — 134.105 მანეთით, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“ — 127.639 მანეთით, ტრიკოტაჟის კომბინატი — 11.952 მანეთით.

როგორც სამკერვალო ფაბრიკები ისე „საქტრიკოტაჟი“ და თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი ყოველთვიური გეგმის უმეტეს ნაწილს ასრულებენ თვის მეორე ნახევარში, შეკერილ ტანსაცმელს კი საავჭრო ბაზაში აბარებენ თვის უკანასკნელ დღეებში. მაგალითად, ტრიკოტაჟის კომბინატმა 30 ნოემბერს დღის ბოლო საათებში ჩაგვაბარა ნახევარი მილიონი მანეთის წინდის ნაწარმი. მზა ნაწარმის ასეთი არანორმალური ჩაბარება ძლიერ უშლის ხელს შეკერილი ნაწარმის საავჭრო ბაზას საავჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის დროზე მიწოდების საქმეში.

თბილისის შეკერილი ტანსაცმლის საავჭრო ბაზაში საქონელმცოდნეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საქონლის სწორად და სწრაფად განაწილებას. სწორედ ამის შედეგია, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია მთელი თვის განმავლობაში სრულებით არ იღებს საქონელს, ხოლო ზოგი თვის პირველ ნახევარში უზრუნველყოფილია კუთვნილი ფონდის მიღებით. შეკერილი ნაწარმის საავჭრო ბაზის არსებობის მანძილზე მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანს იგზავნება საქონელი ცეკავშირის სისტემისათვის შედარებით უფრო ადრე, ვიდრე წინათ (სოფლის ფონდი).

შეკერილი ნაწარმის ბაზის მუშაკებს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება მართებთ საქონლის სწორად განაწილებისა და მისი სწრაფად გადატვირთვის საქმეში. არის შემთხვევა, როცა ზოგიერთი საავჭრო ორგანიზაცია სარგებლობს განსაკუთრებული უპირატესობით საქონლის განაწილებისას (მაგალითად, თბილავჭრობის ზოგი მაღაზია, ქუთაისავჭრობა და სხვ.). თბილისის შეკერილი ნაწარმის საავჭრო ბაზის ზოგმა მუშაკმა (საქონელმცოდნეებმა), რომლებიც ხელს უწყობენ ამა თუ იმ საავჭრო ორგანიზაციებს შერჩეული და უკეთესი ხარისხის საქონლის მიღებაში, უნდა უკუაგდონ საქონლის განაწილებისას უპირატესობის მინიჭების არასწორი პრაქტიკა.

საჭიროა საავჭრო ბაზების ხელმძღვანელობამ უფრო მჭიდრო კავშირი იქონიოს შეკერილი ნაწარმის მომჭწოდებელ ორგანიზაციებთან, საწარმოდაწესებულებებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას საწარმოებისაგან მიღებული საქონლის დროზე მიწოდება მომხმარებელთათვის.

კ. გოგიბერიძე

თბილისის შეკერილი ნაწარმის საავჭრო ბაზის მმართველის მოადგილე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

14 იანვარს გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

თბილისის ოლქის შექმნასა და საოლქო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის შესვლასთან დაკავშირებით, პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი გაათავისუფლა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. პ. ზედგინიძე.

საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. ე. ფ. ჩერქეზია და საქალაქო კომიტეტის მდივნად—ამხ. მ. კ. მაღრაძე.

ინდივიდუალური ბინათმშენებლებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის საქმის საბჭოს სესიაზე

გორი. (საკ. კორ.). უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გორში ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესაბამისად ინდივიდუალურ მშენებლობას დათმობილი აქვს 40-45 პროცენტი. 1950-51 წლებში აშენდა 106 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. ამჟამად მშენებლობის პროცესშია 206 სახლი. 1951 წელს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს სახელმწიფოსაგან დახმარების სახით სესხად მიეცათ 893.000 მანეთი.

გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და საარქიტექტურო სამმართველო ჯერიერან დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ ბინათმშენებლებს საშენი მასალით, ტრანსპორტით; ბინათმშენებლებს ეწევათ ტექნიკური ხელმძღვანელობა და სხვ. თუ 1950 წელს სამშენებლო ნორმების დარღვევის 43 შემთხვევა იყო, 1951 წელს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებზე სპეციალურად ინჟინრის მიმაგრების შედეგად სამშენებლო ნორმების დარღვევები 67 პროცენტით შემცირდა.

საარქიტექტურო სამმართველო ქმედით დახმარებას უწევს მშენებლებს. პუშკინის ქუჩაზე ინდივიდუალურ ბინათმშენებელ თამარ ჯიოშვილის სახლს ხელოსნები ცუდად, მდარეხარისხოვად აშენებდნენ. საარქიტექტურო სამმართველოს ჩარევისა და მითითების შემდეგ მოხალტურე ხელოსნები შეცვლილ იქნენ და ბინის მშენებლობა სწრაფად და ჯეროვანი ხარისხით წარიმართა.

მიუხედავად მიღწევებისა, ინდივიდუალური ბინათმშენებლებისადმი დახმარების საქმეში არის ნაკლოვანებანი. არტელ „გორის მშენებლობას“ 1951 წლის 1 იანვრიდან დაევალა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ბინების მშენებლობის ტემპის გაძლიერებას. მაგრამ ამ არტელის ხელმძღვანელობამ აღნიშნული დავალება არ შეასრულა. ამის შედეგად ბინათმშენებლები სახლების მშენებლობას აწარმოებენ ეკრძო ხელოსნების საშუალებით, რის გამო მშენებლობა ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხით წარმოებს. ჯერ კიდევ მოუგვარებელია ინდივიდუალური ბინათმშენებლების საშენი მასალით უზრუნველყოფის საქმე. ამ მიმართულებით ეკტა გააკეთეს არტელმა „გორის მშენებლობამ“, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა და „გორგაჭრობამ“.

არის მშენებლობათა უნებართვოდ დაწყების შემთხვევებიც. 1951 წელს 7 ასეთი შემთხვევა იყო. მიღებული ზომების შედეგად აღნიშნული დარღვევები გამოსწორდა.

გორის საქალაქო საბჭოს მორიგმა სესიამ ამ დღეებში სპეციალურად განიხილა ინდივიდუალური ბინათმშენებლებისადმი საქალაქო საბჭოს აღმასკომის დახმარებისა და ხელმძღვანელობის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საარქიტექტურო სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. გაჩეჩილაძემ. სესიამ დასახა ინდივიდუალური ბინათმშენებლებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

ტექნიკური კონფერენცია ვაგონების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე

ამას წინათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში შედგა ხარისხის ინსპექტორების ტექნიკური კონფერენცია ვაგონების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა ს. ახალაძემ. კონფერენციაზე გამოსულმა ხარისხის ინსპექტორებმა ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე, ამხილეს არაკეთილხარისხოვნად მუშაობის ფაქტები.

ტექნიკურ კონფერენციაზე აღინიშნა სამტრედიის სავაგონო დეპოს ხარისხის ინსპექტორის ვ. ციხისელის მუშაობის მეთოდის ფართოდ გავრცელების დიდი მნიშვნელობა. ვ. ციხისელმა სავაგონო დეპოში შექმნა საუკეთესო ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს. იგი ბრიგადის წევრებს ასწავლის ვაგონების ჩქარობსნული შეკეთების მეთოდებს. მან წამოაყენა და განახორციელა ორი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც დიდად აჩქარებს ვაგონების შეკეთებას და ამაღლებს შეკეთების ხარისხს.

მკაცრად გაკრიტიკებულ იქნა თბილისის სატვირთო სავაგონო დეპოსა და ხაშურის სავაგონო დეპოს ხარისხის ინსპექტორების ნ. ჯანელიძისა და ა. გოძიაშვილის ცუდი მუშაობა. მათ შეკეთებიდან წუნდებული ვაგონების გამოშვების რამდენიმე შემთხვევა ჰქონდათ.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი ვაგონების შეკეთების ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უკეთესად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნები“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 28 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ანგარიში მომხმარებელთა კონფერენციისა, რომელიც მოაწყო „გლავგასტრონომის“ საქართველოს კანტორის ქ. თბილისის № 7 მაღაზიამ.

კონფერენციის ანგარიშში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. მ. ნარსიამ რედაქციას აცნობა:

„№ 7 მაღაზიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით „გლავგასტრონომის“ საქართველოს კანტორის მმართველს ამხ. ა. ლალაშვილს წინადადება მიეცა: მაღაზია გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე; სისტემატურად უზრუნველყოს იგი უმაღლესი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის საქონლით; ა. წ. 1 თებერვლამდე მაღაზიას შეუცვალოს კარები და გაუკეთოს ზამბარები, რათა თავისით იხურებოდეს; მაღაზიის თანამშრომელთა შორის ჩატაროს ლექციათა ციკლი სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე; იანვარ-თებერვალში მოაწყოს მომხმარებელთა კონფერენციები როგორც თბილისის, ისე ქუთაისის, გორის, რუსთავის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ყველა მაღაზიაში.

გარდა ამისა, ვაჭრობის სამინისტრომ წინადადება მისცა: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგეს ამხ. ს. აბაშიძეს — № 7 მაღაზიას გადასცეს მის გვერდით მდებარე დარაბა ხორცის სავაჭრო სექციის მოსაწყობად; დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს დაევალათ იანვარ-თებერვლის განმავლობაში მოაწყონ მომხმარებელთა კონფერენციები ყველა დიდ მაღაზიაში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ დასვა საკითხი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რათა 1952 წლის I კვარტალში მოეწყოს ქარაქის შეფუთვა 100-200-გრამიან შეკვრად“.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ექიმი გ. უკლება არაკეთილსინდისიერი საქმიანობისათვის დასჯილია

ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მხილებული იყო კეთილარის საექიმო უბნის გამგის ექიმ გ. უკლებას უპასუხისმგებლო საქმიანობა. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა პარტიის აბაშის რაიკომს.

რაიკომის მდივანი ამხ. ს. ებრალიძე გვაცყობინებს, რომ წერილში დასახელებული ფაქტები დადასტურდა. ექიმი უკლება საავადმყოფოს პროდუქტებს არაწესიერად ინახავდა, მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვა, ირღვეოდა სანტატო დისციპლინა. უკლებამ საავადმყოფოში მოქალაქე ე. ჩაჩავას მკურნალობისათვის ფული გამოართვა, იგი თვითნებურად ცვლიდა ავადმყოფებისათვის გამოყოფილ პროდუქტებს და სხვ. რაიკომის ბიურომ დაავალა რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას ექიმ გ. უკლებას მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღება. ექიმ გ. უკლებას გამოცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სანტატო დისციპლინის დარღვევისათვის მითითება მიეცა რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. ნ. ჯანელიძეს.

პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა მოაწყო რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი.

სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები თემებზე: „პარტიული პროპაგანდა და პარტიის წევრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა“, „კოლეეურნეობების შემდგომი სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცება და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“. მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები საკითხებზე, როგორიც არის საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღება და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, პარტიული კრება და მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება, პარტიული მეურნეობა და კომუნისტების აღრიცხვა, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

სემინარზე თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა პოლიტიკურ კომიტეტში 1952 წლის 12 იანვარს

პირველი კომიტეტის დღის წესრიგში ახლა დგას საბჭოთა კავშირის დელეგაციის ინიციატივით შემოტანილი საკითხი „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ საკითხის მარტო ფორმულირებაც კი მოწმობს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას, მეტადრე საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი დაძაბულობის პირობებში.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ სესიის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ამ საკითხზე თავისი წინადადებანი შემოიტანა და რომ მნიშვნელოვანწილად ამ წინადადებებისადმი იყო მიძღვნილი ჩვენი დელეგაციის და ზოგიერთი სხვა დელეგაციის გამოსვლებიც გენერალური ასამბლეის პლენუმზე, კერძოდ, იმ დელეგაციებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობენ. ეს გამოსვლები იყო 8 ნოემბერს, აგრეთვე 16 ნოემბერს, ამასთან ჩვენ მაშინვე წარმოვადგინეთ დამატებითი წინადადებანი ამ საკითხზე.

მას შემდეგ ორი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში პირველმა კომიტეტმა განიხილა რამდენიმე პუნქტი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგისა, რომელშიც მეტად თუ ნაკლებად იყო მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება საკითხებს, რაც ახლა უნდა განვიხილოთ დღის წესრიგის ამ პუნქტის მიხედვით.

ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან, არსებითად რომ ვთქვათ, პირველი კომიტეტის ყველა საკითხი ასე თუ ისე დაკავშირებულია ამ ძირითად პრობლემასთან, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრისა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების პრობლემასთან, რომლის გადასაწყვეტადაც საჭიროა შეუშავდეს ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ამოცანის აღნიშნული გადაწყვეტა. ბუნებრივია, რომ პირველი კომიტეტის მიერ დღის წესრიგის უკვე განხილულ პუნქტებზე მსჯელობის დროს უარს ვერ ვიტყოდით ამჟამად შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზსა და ამ დარგში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზთა გამორკვევაზე, თავს ვერ ავარიდებდით ან უარს ვერ ვიტყოდით იმაზე, რომ ვცდილიყავით დაგვესახა საშუალებანი, რომლებითაც შეიძლებოდა ამ მდგომარეობის გაუმჯობესება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

მაგრამ წინათ განხილული საკითხები, რომლებიც უკავშირდება ამ თემას, რომელზეც უნდა ვიმსჯელოთ და რომლის შესახებაც დაგაწყვეტინება უნდა მივიღოთ დღის წესრიგის, ე. ი. დღევანდელი დღის წესრიგის მე-6 პუნქტის კანხილვისას, ჩვენი აზრით, მთელი თავისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ამ თემის მხოლოდ ცალკე ელემენტები იყო. ამ შემთხვევაში კი საქმე ეხება არა ამა თუ იმ ცალკე ღონისძიებას, თუნდაც მეტისმეტად მნიშვნელოვანს, არამედ ღონისძიებათა ან საკითხთა მთელ სისტემას, რომლებიც განხილულ უნდა იქნან არა მარტო ერთი საკითხის მეორესთან დაუკავშირებლად, არამედ აუცილებლად ამ დაკავშირებით და ამასთან მჭიდრო დაკავშირებით. ეს დაკავშირება მათ შორის უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება იმ მიზნებისა და ამოცანების ერთიანობით, რომლებიც წარმოიშვებიან თვითეული ამ ცალკე საკითხის, ანდა ამ საკითხთა მთელი ჯგუფის განხილვისას.

სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს საკითხს „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის მუშაობის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დგას მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები და რომ უმნიშვნელოვანესი, პირველი რიგის ამოცანა, რომელიც მოითხოვს ჩვენგან დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, არის იმ დაბრკოლებათა აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლიან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, არის ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრა. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ მეხუთე სესიის დამთავრების მომენტიდან განვლილ პერიოდში საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ამას მოწმობს მრავალი და უდავო ფაქტი, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები და ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ ხნის განმავლობაში გართულებული საერთაშორისო მდგომარეობისათვის, ცდილობენ უარყონ ეს ფაქტები ანდა ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამ ფაქტებს მერ ამჩნევენ.

უნდა ითქვას, რომ ამ სულ უფრო და უფრო გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის, საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო მზარდი დაძაბულობის ძირითადი, მთავარი, უმნიშვნელოვანესი მიზეზი არის ახალი ომისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, არის ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრა. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ მეხუთე სესიის დამთავრების მომენტიდან განვლილ პერიოდში საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ამას მოწმობს მრავალი და უდავო ფაქტი, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები და ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ ხნის განმავლობაში გართულებული საერთაშორისო მდგომარეობისათვის, ცდილობენ უარყონ ეს ფაქტები ანდა ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამ ფაქტებს მერ ამჩნევენ.

უნდა ითქვას, რომ ამ სულ უფრო და უფრო გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის, საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო მზარდი დაძაბულობის ძირითადი, მთავარი, უმნიშვნელოვანესი მიზეზი არის ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრა. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ მეხუთე სესიის დამთავრების მომენტიდან განვლილ პერიოდში საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ამას მოწმობს მრავალი და უდავო ფაქტი, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მთავრობები და ამ ქვეყნების წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ ხნის განმავლობაში გართულებული საერთაშორისო მდგომარეობისათვის, ცდილობენ უარყონ ეს ფაქტები ანდა ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამ ფაქტებს მერ ამჩნევენ.

ჩვენ ეკონომიურ ფაქტებზე ვიტყვი, ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ბოლო დროს ომამდელ ეკონომიურ ურთიერთობათა ნორმალურ ნაკადს ერღვევა. ეს ეხება ომამდელ ეკონომიურ ურთიერთობათა ნორმალურ ნაკად

ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

ბის მიერ, ერთი მხრივ, თავიანთი შეიარაღებული ძალების გასაღიდებლად ნახმარ ლონისძიებებს და, მეორე მხრივ, თავიანთი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების გადიდების, აგრეთვე სამხედრო ბლოკების შეკოწიწებისა და ამ ბლოკების შეიარაღებული ძალების, მთელი არმიების, როგორც, მაგალითად, ევრეთწოდებული „ევროპის არმიის“ ორგანიზაციის ღონისძიებებს.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სავალდებულო სამხედრო ბეგრისა და სარეზერვო ნაწილების მობილიზაციის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ. ტრუმენის აღიარებით, რასაც შეიცავს კონგრესისადმი 1951 წლის აპრილის მიმართვა, წინა 10 თვეში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთიანორად ლა მეტად გაადიდეს თავიანთი შეიარაღებული ძალების რაოდენობა და მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დასახულია მათი გადიდება 3,5 მილიონ კაცამდე, თუ არ ჩავთვლით 2 მილიონ კაცს სხვადასხვა სამხედრო-სარეზერვო შენაერთებში და ეროვნული გვარდიის ნაწილებში. ამრიგად, უკვე ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების არმია, 5 მილიონზე მეტ კაცს აღწევს.

როგორც კონგრესისადმი ტრუმენის ამა წლის იანვრის მიმართვიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გადიდება 3,5 მილიონ კაცამდე განხორციელებულია იმ ვადის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე, რომელიც თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ეს მოწმობს ამერიკის არმიის გადიდების დაჩქარებას იმასთან შედარებით, რაც გასულ წელს ჰქონდათ მხედველობაში. მარტო ეს ფაქტი უკვე საკმაოდ მეტყველებს.

ამავე დროს, როგორც ეს ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან არსებული ეკონომიური საბჭოს მონაცემებიდან, გადიდდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებიც 1950 წლის 28,3 მილიარდი დოლარის წლიური დონიდან 1951 წლის 34,8 მილიარდ დოლარის დონემდე მეორე კვარტალში და 40,7 მილიარდ დოლარის დონემდე მესამე კვარტალში. 1951 წლის დამლევისათვის, ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს ცნობის თანახმად, ეს ხარჯები გადიდდა დაახლოებით 50 მილიარდ დოლარის წლიურ დონემდე. აქ შედის შეიარაღებული ძალების, მოკავშირეებისათვის სამხედრო დახმარების გაწევის, ატომურ იარაღთან დაკავშირებული მუშაობის, სტრატეგიული მასალების მარაგის შექმნის ხარჯები. გიგანტური თანხები იხარჯება იმის მოსამზადებლად, თუ უკეთ როგორ მოსპონ მილიონობით მშვიდობიანი ადამიანი, რომლებსაც არა სურთ არავითარი ომი, რომლებიც არ ესწრაფვიან არავითარ მსოფლიო ბატონობას, არავითარი კოლონიების შეძენას, რომლებიც ესწრაფვიან მხოლოდ იმას, რომ ხელი არ ახლონ მათ, რომ მათ შეეძლოთ იცხოვრონ საკუთარი ცხოვრებით, მშვიდობიანი შრომით. წარმატება მოიპოვონ თავიანთი მეურნეობის, მშვიდობიანი, კულტურული, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში. ეს ფაქტები ამასთან ერთად მოწმობენ იმასაც, თუ რას წარმოადგენს ის პოლიტიკა, რომელსაც სამშვიდობო ეკონომიკა სამხედრო ეკონომიკაზე გადაჰყავს.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლანდელ კურსს საფუძვლად უდევს „ძალის სიტუაციის“ აბადალებული დოქტრინა. ამაზე აქ აგრეთვე ქებით, და მე ვიტყოდი, გატაცებით, ლაპარაკობდა ზოგიერთი დელეგატი. მაგრამ ამ დოქტრინის სინამდვილეში გამოყენების გამოცდილებამ უკვე ახლა ცხადყო მისი სრული გაკოტრება, „ძალის სიტუაციის“ ამ პრინციპის სრული გაკოტრება, რომელსაც ეს დოქტრინა ემყარება.

რა დამამტკიცებელი საბუთები გვაქვს?

ნება მიბოძეთ მივმართო კვლავ ფაქტებს. ეკონომიურ დარგში „მარშალის გეგმის“ გამოყენების შედეგად, რომელიც ასეთი „ძალის სიტუაციის“ შექმნისა თუ განმტკიცების ერთ-ერთი ფორმაა, „მარშალის გეგმისა“, რომელზეც ესოდენ იმედს ამყარებდნენ სწორედ ამ მიმართულებით, — საქმე კარხით, ჩაფუშვით დამთავრდა. მე ვამბობ „დამთავრდა“, იმიტომ რომ, როგორც ცნობილია, 31 დეკემბერს გათავდა „მარშალის გეგმის“ მოქმედების ვადა და ამ მომენტიდან მოქმედება დაიწყო მეორე ლონისძიებამ, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ურთიერთ უშიშროების საგენტო“.

ყველამ იცის, რომ „მარშალის გეგმამ“ ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა იმ ქვეყნებს, რომლებმაც ეს გეგმა მიიღეს და დაადგნენ ამ გზას და გადაიქცნენ ნამდვილად „მარშალიზებულ“ ქვეყნებად. „მარშალის გეგმამ“ უფრო გაუარესა და გაამწვავა ამ ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა. ამის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო ნიშნად ამჟამად უნდა დასახელებულ იქნას კრიზისი, რასაც ახლა საფრანგეთის, ბელგიისა და სხვა მთავრობები განიცდიან. საფრანგეთში ეს კრიზისი იმით დამთავრდა, რომ პლევენის მთავრობას უარი უთხრეს ნდობაზე. პლევენის კაბინეტის დაცემა, როგორც ყველასათვის ცხადია, უწინარეს ყოვლისა იყო საფრანგეთის შერყეული ეკონომიური მდგომარეობას შედეგი, რაც „მარშალის გეგმის“ უარყოფითი გავლენის პირდაპირი შედეგია.

მე შესაძლებლად მიმაჩნია ამ საკითხს შევეხო მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ამბებთან დაკავშირებით, „ძალის სიტუაციის“ იმ ყბადაღებულ პრინციპთან დაკავშირებით, რომლის განმტკიცებას ფიქრობდნენ „მარშალის გეგმით“, რომელმაც კრახი განიცადა. არა მარტო „მარშალის გეგმა“, არამედ „ძალის სიტუაციის“ პრინციპიც და ამ პრინციპზე აგებული მთელი პოლიტიკაც განიცდის კრახს და არ შეიძლება არ დამთავრდეს სრული ჩაშლით. „მარშალის გეგმამ“ სარგებლობა ჰისცა მხოლოდ მცირე პრივილეგიურ ჯგუფებს მარშალიზებულ ქვეყნებში და მეტს არავის. მოსახლეობას, ეკონომიკას, მთელს იმ ქვეყნებს, სადაც „მარშალის გეგმას“ იყენებდნენ, მან მიაყენა მხოლოდ ზიანი, რომლის შედეგებსაც მძიმედ განიცდიან ეს ქვეყნები. მაგრამ „მარშალის გეგმა“ იყო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მხოლოდ საერთო კურსის გამოხატულება, რაზეც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

საგარეო პოლიტიკის დარგში 1951 წელს მდგომარეობა უკეთესი როდი აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომიკის დარგში, უკეთესი არა ჩანს, არც 1952 წლის პერსპექტივები.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხო ბ-ნ აჩესონის მიერ ახალწლის ღამეს „ვალდორფ-ასტორიაში“ გამართულ სადილზე წარმოთქმულ სიტყვას, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მდგომარეობა ეგრეთწოდებულ „ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში“ ვარდისფრად დახატა და ილაპარაკა ამ რაიონში ეკონომიური კეთილდღეობის პროგრესსა და ზრდაზე. ახლა მოდაშია ყოველგვარი ალეგორიების ხმარება. ამას წინათ მე გავახსენენთ ბ-ნ ჩერჩილის ალეგორია ინგლისის შესახებ, როცა მან იგი შეადარა მატარებელს, რომელიც 60 მილი სიჩქარით მიჰქრის ძირს, დაღმართში. ახლა თავის სიტყვაში ალეგორიას მიმართა ბ-ნმა აჩესონმა. ეს ალეგორიაც ყურადღების ღირსია. როცა იგი ლაპარაკობდა ევრეთწოდებული „ჩრდილოეთ ატლანტიკის“ რაიონში არსებულ მდგომარეობაზე, მან შემდეგი განაცხადა: „ცხოვრება მთელი თავისი ფორმებით არღვევს იმ გარსს, რომელიც მას აკავებს, და ამოდის ნახევრადგაყინულ მიწაში... ყოველივე ამას გვიანი ყინვა ემუქრება. ასეთივეა, მე ვფიქრობ, საქმის ვითარება აქაც, — ე. ი. ევრეთწოდებულ „ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში“.

თუ შევეცდებით გამოვიცნოთ ბ-ნ აჩესონის ამ ალეგორიის აზრი, გამოვა, რომ, მისი აღიარებით, „ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში“ უკვე „ნახევრად გაიყინენ“, „იყინებიან“. მეორე მხრივ გამოდის, რომ ამ რაიონს „გვიანი ყინვა ემუქრება“. გამოდის, რომ საქმე არც ისე კარგად ყოფილა, თუ რაღაც ყლორტებს, რომლებიც ნახევრად გაყინულ მიწაში ამოდის, კიდევ ყინვა ემუქრება.

ცხადია, რომ ეს ალეგორია წარმოადგენს თავშეკავებით გამოთქმულ გაფრთხილებას „აყვავების“, „კეთილდღეობის“ და მათი მსგავსი იმ კარგი სიტყვების მიმართ ყოველგვარი ოპტიმიზმის წინააღმდეგ, რომლებითაც ამერიკელი პოლიტიკოსები ცდილობენ მიჩქმალონ მართლაც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ევრეთწოდებული „ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონის“, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში.

ლაპარაკობდა რა ევროპის მდგომარეობაზე და მხედველობაში ჰქონდა რა ევროპის დასავლეთი ნაწილი, ბ-ნმა აჩესონმა გამოთქვა კმაყოფილება ევროპის ეგრეთწოდებული „თავდაცვის“ მდგომარეობით. მაგრამ ამავე დროს, ლაპარაკობდა რა ევროპაზე, მას არ დაუმალავს ის გარემობა, რომ ევროპის წინაშე მდგომი სერიოზული ეკონომიური და ფინანსური პრობლემები, — აი ბ-ნ აჩესონის საკუთარი სიტყვები, — „ისახებიან შავბნელ აჩრდილად... ისინი წარმოადგენენ სიძნელესა და საფრთხეს ჩვენი ევროპელი მეგობრებისათვის და თვით ჩვენთვის“.

რაღა გამოდის? მაშასადამე, საქმე ევროპაშიც ცუდად ყოფილა, იმიტომ რომ არის ისეთი ეკონომიური პრობლემები, რომლებიც „შავბნელ აჩრდილად“ დგანან. თუ ევროპის წინაშე ეკონომიური და ფინანსური პრობლემები შავბნელ აჩრდილად დგანან, მაშასადამე, საქმე კარგად ვერ ყოფილა. ჩვენ ბ-ნ ჩერჩილის სიტყვიდან უკვე ვიცით, რომ ინგლისის ფინანსური მდგომარეობა ისეთია, რომ იგი გაკოტრების წინაშეა. ასე ამბობდა ბ-ნი ჩერჩილი.

(გაგრძელება იქნება)

ა. ი. ვიშინსკის საუბარი საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს დელეგაციასთან

პარიზი, 13 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.). ამ დღეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი ინახულეს საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ივ ფარემა და ამ ორგანიზაციის მოღვაწეთა ჯგუფმა — დ'ასტიე დე ლა ვიეერიმ, აბატმა ბულიემ, ეილბერ დე შამბრენმა, პროფესორმა ვეილ-ალემ, ლორან კაზანოვამ, ჟან დე მანტონმა, ლუი გერიმ და ფერნან ვინმა.

ისინი გულთბილად მიიღეს ა. ი. ვიშინსკიმ და სსრ კავშირის დელეგაციის წევრმა ა. ა. სობოლევმა.

ივ ფარემა განაცხადა, რომ საფრანგეთის მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ მას და მის კოლეგებს — საბჭოს წევრებს დაავალა ინახულონ საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და გადასცენ „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ხალხებისადმი“, რომელიც მიღებულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიაზე, აგრეთვე ხალხისადმი მიმართვა, რომელიც განიარაღებისა და მშვიდობის საფრანგეთის ეროვნულმა ყრილობამ მიიღო გასული წლის დეკემბერში პარიზს.

— ჩვენ, — თქვა ივ ფარემა,—მიღება ვთხოვეთ ოთხი დიდი სახელმწიფოს—საფრანგეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებს და მოხარული ვართ, რომ სსრ კავშირის დელეგაცია პირველი გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას.

ივ ფარემა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობა შეასრულა განიარაღებისა და მშვიდობის საფრანგეთის ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობაში მონაწილეობდა საფრანგეთის ყველა რაიონში დემოკრატიული გზით არჩეული 12 ათასი დელეგატი. მათ ერთსულოვნად, შექმნილი ვითარების სერიოზულობისა და მშვიდობისათვის ხალხის მასების ბრძოლის მნიშვნელობის მთელი შეგნებით მოიწონეს ხალხისადმი მიმართვა, რომელშიც ჩამოყალიბებულია მშვიდობისათვის ფრანგთა მოძრაობის გადაუდებელი ამოცანები ახლანდელი ვითარების თვალსაზრისით და, კერძოდ, იმ დისკუსიის თვალსაზრისით, რაც გენერალური ასამბლეის სესიაზე წარმოებდა. ფრანგმა ხალხმა, ნათქვამია მიმართვაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საფრანგეთსა და ყველა სხვა დელეგაციებს უნდა უთხრას:

— იცისრეთ ვალდებულება, რომ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, დიდოს შეთანხმება განიარაღების შესახებ, დაწესდეს ინსპექცია და კონტროლი. არ დაიშალოთ ისე, რომ ხელი არ მოაწერეთ ამ ზუსტ ვალდებულებებს! გამოთქვეთ თქვენი აზრი ნათლად, ზუსტად და გულახდილად სადი აზრის ამ მოთხოვნებზე! ხალხები თქვენ შემოგყურებენ!

კონფერენციამ აგრეთვე მოუწოდა საფრანგეთის ხალხს უთხრას პარლამენტის დეპუტატებსა და მთავრობას: „მტკიცედ უარყავით გერმანიის ხელახლა შეიარაღება“. ეს მოთხოვნა, ხაზგასმით აღნიშნა ფარემა, შეესაბამება ფრანგი ხალხის განწყობილებას. ფრანგი ხალხი დიდად დაზარალდა ჰიტლერული ოკუპაციის გამო და შეშფოთებულია დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების პოლიტიკით.

უპასუხა რა ივ ფარეს, ვიშინსკიმ თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე სსრ კავშირის დელეგაცია ძალიან დაკვირვებით ადევნებს თვალყურს სხვადასხვა ქვეყანაში მშვიდობის მოძრაობის განვითარებას. ეს მოძრაობა მარტო თავისი დიდი მასშტაბით როდია შესანიშნავი. მისი მნიშვნელობა აგრეთვე ის არის, რომ იგი მშვიდობისათვის საბრძოლველად ჰეფავს და რაზმავს ხალხთა მასების ნებას. ასეთი მოძრაობა რომ არ იყოს, რომ არ იყოს ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის, კერძოდ, საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭო, მშვიდობის მომხრენი დაქსაქსული იქნებოდნენ, ვერ დაიარაზმებოდნენ და ვერ გაერთიანებებოდნენ იმ საერთო მისწრაფების ნიადაგზე, რომ გზა გადაუღობონ ომს.

ჩვენ, თქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე მუშაობაში ძალიან გვესაჭიროება ხალხთა მასების მხარდაჭერა, და უნდა ვთქვა, რომ ამ მხარდაჭერას გვიწევენ, ჩვენ მას ვგრძნობთ. ჩვენს დელეგაციას ყოველდღიურად მოსდის მრავალი წერილი და დეპეშა საფრანგეთის ყველა კუთხიდან, ქალაქებიდან და სოფლებიდან, პატარა და დაშორებული სოფლებიდანაც კი, რომლებითაც გამოთქვამენ სოლიდარობას გენერალური ასამბლეის სესიაზე ჩვენი მუშაობისადმი. ჩვენთან მოდიან მუშების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის, წვრილი ბურჟუაზიის დელეგაციები და არა მარტო საფრანგეთისა, არამედ სხვა ქვეყნებისაც. მაგალითად, ბელგიისა.

ვიშინსკიმ სტუმრებს უამბო, თუ რა პირობებში უხდება საბჭოთა დელეგაციას მშვიდობისათვის ბრძოლა. ეს ძნელი პირობებია, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოქმედებს იმ სახელმწიფოთა ბირთვი, რომელთა მთავრობებს მშვიდობა არა სურთ. ეს ბირთვი, როგორც ცნობილია, შედგება ლათინური ამერიკის 20 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ბრიტანეთის დომინიონებისაგან. მათ ემხრობიან ისეთი დელეგაციებიც, როგორიცაა ჰაიტის, ფილიპინების, ეთიოპიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციულ მმართველ წრეებს დასაყრდენი ჰქონდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და შეეძლოთ საქმე ისე წარმართნათ, როგორც სურდათ. ასე იყო აქამდე. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვარშან გენერალური ასამბლეის სესიაზე ვამბობდით, რომ ეს ბირთვი არ არის საიმედო, არ არის მტკიცე, რომ იგი გაიბზარება.

რა მოხდა გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე? ეს ბირთვი, ეს ბლოკი ახლა გაიბზარა. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების საობარი ჯგუფების წინააღმდეგ იწყება ბუნტი, დაე ჯერ-ჯერობით „დაჩოქილთა ბუნტი“, მაგრამ მაინც ბუნტი.

ვიშინსკიმ ამ აზრის დასადასტურებლად აღნიშნა, თუ როგორ მიმდინარეობდა გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში ევრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ განხორციელების შესახებ ამერიკის წინადადების განხილვა, რომელიც შეტანილია ვითომდა მშვიდობის დაცვისათვის, ნამდვილად კი მიზნად ისახავს ახალი ომის მომზადებას. ფრიად დამახასიათებელია, რომ ამ წინადადებაში ცენტრალური ადგილი უკავია ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ნასესხებია ნაპოლეონის ომების ეპოქიდან, როცა ნაპოლეონი კონტინენტალურ ბლოკადას ახორციელებდა. ამ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ დანიშნულება ის არის, რომ ქვეყნებმა, რომლებიც მათ მიიღებენ, თავიანთი ჯარები გადასცენ ვითომდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განკარგულებაში, ნამდვილად კი ამერიკის შეერთებული შტატების, ესე იგი გენერალ ეიზენჰაუერის განკარგულებაში. ამ ამერიკული პროგრამის მისაღებად საჭირო იყო მხოლოდ, რომ გენერალურ ასამბლეას მიეღო ამერიკის შეერთებული შტატების და კიდევ 10 ქვეყნის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის ერთი პუნქტი: მოწონებულ იქნას და დამტკიცდეს ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის წინადადება.

მაგრამ რა გამოვიდა? დაიწყო ბუნტი. იგი ატეხეს არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა, მათ შეუერთდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. შეუერთდა ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანაც—მექსიკა, ჩილი, კოლუმბია, არგენტინა, გვატემალა, ეკვადორი. ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელმა რიგმა დელეგაციებმა უარი თქვეს მოეწონებინათ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენება. უფრო მტკიცე პოზიცია დიოკავეს ინდოეთის, ინდონეზიისა და ბირმის წარმომადგენლებმა. სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა, რა თქმა უნდა, გადაჭრით გაილაშქრეს ამერიკის ამ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ წინააღმდეგ. ამის შედეგად გამოვიდა ისეთი შეტევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იძულებული გახდნენ საჩქაროდ ამოეღოთ თავიანთი რეზოლუციიდან ეს პუნქტი. პოლიტიკურმა კომიტეტმა კი არ მოიწონა მოხსენება „კოლექტიურ ღონისძიებათა“ შესახებ, არამედ „ცნობად“ მიიღო იგი. მეტმა წილმა ქვეყნებმა არ მოისურვეს მონაწილეობა მიეღოთ ამ ღონისძიებათა განხორციელებაში, და ამის შესახებ რომ არ იყოს რაიმე ეჭვი, რეზოლუციამ რომ არ დატოვოს რაიმე საძრომი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავანტიურებში სხვა სახელმწიფოების ძალით ჩათრევისათვის, არაბული ქვეყნების და აზიის მეტი წილი ქვეყნების ინიციატივით რეზოლუციას დაემატა მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი ამის შესახებ, რომ ეს რეზოლუცია ვალდებულებას ვერ დააკისრებს რომელიმე სახელმწიფოს, თუ მან თავისუფლად და გარკვევით არ გამოთქვა თანხმობა მონაწილეობა მიიღოს „კოლექტიურ ღონისძიებათა“ განხორციელებაში.

ცხადია, თქვა ვიშინსკიმ, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამერიკა-ინგლისის ბლოკს „მავულოცოო“ მისი აგრესიურიანი ოცნებანი სრული ჩაშლა. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის მებრძოლ დელეგაციათა მიერ ასამბლეაზე მიღწეულ ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ყველა ქვეყნის და, კერძოდ საფრანგეთის, მშვიდობის მომხრეებმა, რომლებიც განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებისა, პროფესიისა, გაერთიანდნენ, რათა თავიდან აიცილონ უდიდესი უბედურება — ახალი მსოფლიო ომი.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — განაგრძო ვიშინსკიმ, — ჩვენ ვფიქრობთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბრძოლას, რომელიც მოითხოვს დიდ ძალებს, დაძაბვას და თავისი საქმის სამართლიანობისადმი ურყევ რწმენას, ერომლისოდაც შეუძლებელია წარმატება ექნეს რაიმე ბრძოლას. ამიტომ ჩვენთვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი და ესოდენ ძვირფასია მხარდაჭერა, რასაც გვიწევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მასები. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გიხდებათ დიდი და სერიოზული სიძნელეების გადალახვა, რომ თქვენს წინაალმდეგ ამხედრდნენ რეაქციის ძალები, რომ თქვენ თავს გატეხენ პოლიციურ რეპრესიებს. მაგრამ რაც უფრო მეტ დაბრკოლებას უქმნიან მშვიდობისათვის მოძრაობის ორგანიზაციებს, მით უფრო მტკიცდება და ფართოვდება ეს მოძრაობა. ფრანგ ხალხს აქტიური როლი ეკუთვნის მშვიდობისათვის დიად ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. ის გარემოება, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას სხდომები აქვს, პარაზმი, საგრძნობად გვიადვილებს ჩვენ და მშვიდობისათვის მებრძოლ სხვა დელეგაციებს ჩვენი საერთო ამოცანის განხორციელებას.

ვიშინსკიმ საფრანგეთის მშვიდობის ეროვნულ საბჭოს უსურვა კიდევ მეტი წარმატება მისი კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გავრცელდეს სიმართლე საბჭოთა კავშირზე, მის სამშვიდობო პოლიტიკაზე და მხილებულ იქნას მშვიდობის მტრების ცილისმწამებლური მონაჭორი, საბჭოთა კავშირის მხრივ რაღაც მოჩვენებითი საფრთხის შესახებ, რითაც აგრესორები ცდილობენ გაამართლონ გამალებული შეიარაღებისა და საომარი მზადების თავიანთი პოლიტიკა.

ამბატმა ბულიემ ჰკითხა ვიშინსკის, თუ კონკრეტულად როგორ გრძნობს სსრ კავშირის დელეგაცია მშვიდობის ფრანგ მომხრეთა მორალურ მხარდაჭერას. ვიშინსკიმ უპასუხა, რომ ამ მხარდაჭერაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, მაგალითად, სხვა დელეგაციების ქცევის მიხედვით და იმ საზოგადოების ქცევის მიხედვით, რომელიც ამ სესიაზე შედგება ფრანგებისაგან და არა ამერიკელებისაგან, როგორც ეს ხდება ნიუ-იორკში გამართულ სესიებზე. შემთხვევითი როდია, დასძინა სსრ კავშირის დელეგატმა, რომ ამერიკელები, როგორც ამბობენ, წინაალმდეგი არიან, რომ შემდეგი სესია მოწვეულ იქნას პარიზში.

დ'ასტიე დე ლა ვიეერიმ, შეეხო რა მშვიდობისათვის ფრანგი ხალხის ბრძოლის პერსპექტივებს, რაც ივ ფარემა დაახასიათა როგორც მეტად კეთილსასურველი, მოიყვანა ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი. წინათ, თქვა მან, მთავრობის კრიზისის დროს პრეზიდენტს, როცა მიიწვევდა სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეს კაბინეტის შედგენის შესახებ მოსალაპარაკებლად, აინტერესებდა, უმთავრესად, მათი პარტიულობა, მათი დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი. ახლა კი კრიზისის დროს პრეზიდენტი აყენებს ორ კითხვას: რას ფიქრობთ ევრმანიის ხელახალი შეიარაღების შესახებ? რას ფიქრობთ ინდო-ჩინეთში ომის შესახებ? ეს ცხადყოფს, რომ პარლამენტის უმრავლესობაში ამ საკითხზე წინანდელი ერთიანობა აღარ არის. სულ უფრო მეტი ადამიანი მტკიცედ აცხადებს, რომ მზად არის იბრძოლოს საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, და ეს გარდუვალად გავლენას ახდენს ბევრი დეპუტატის პოზიციაზე. ჩვენი ამოცანაა, დასძინა მან, ვუჩვენოთ ამ ადამიანებს ამ მიზნის განხორციელების გზა.

საუბრის დასასრულს ვიშინსკიმ მადლობა გადაუხადა სტუმრებს ვიზიტისათვის, უსურვა მათ ახალი წარმატებანი, ახალი წინსვლა იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელების გზაზე, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა და ბედნიერება.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 იანვარი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განავრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

13 იანვარს აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე გრძელდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. იანგუს ჩრდილოეთით ამერიკელთა ნაწილებმა რამდენჯერმე გაფთრებით მოიტანეს იერიში სახალხო არმიის პოზიციებზე, მაგრამ ზარალი ნახეს და უკუგდებულ იქნენ.

დასავლეთის და ცენტრალურ ფრონტებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა.

სახალხო არმიის ნაწილებმა დაიზიანეს ორი საესკადრო ნაღმოსანი მოწინააღმდეგის იმ ხომალდთა რიცხვიდან, რომლებიც შეიჭრნენ დასავლეთ სანაპიროს წყლებში და არტილერიას უშენდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ამერიკის ავიაციის თავხედური პროვოკაციული თავდასხმები ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზე

პეკინი, 14 იანვარი. (საკადესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება: 13 იანვარს 12 საათსა და 27 წუთზე ამერიკის 16 თვითმფრინავი შეიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში და გადაუფრინა მუკდენს გარეუბანს.

ამავე თვითმფრინავებმა გადაუფრინეს აგრეთვე ლიაოდუნის პროვინციის ქალაქებს—ბენსოს, ფუშუნს, ცინ-იუანსა და სინპინს.

უფრო ადრე ამერიკის თვითმფრინავთა ოთხმა ჯგუფმა, რომელთაგან ერთი შედგებოდა 4 თვითმფრინავისაგან და დანარჩენი სამი—თექვსმეტ-თექვსმეტი ავიაგამანადგურებლისაგან, ზედიზედ დაარღვია ჩინეთის საჰაერო საზღვარი 12 საათიდან და 07 წუთიდან 12 საათამდე და 16 წუთამდე და გადაუფრინა ლიაოდუნის პროვინციის ქალაქებს ხუანჯენს, ძიანს, ტუნხუასა და კუანდიანს.

ირანის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი

თეირანი, 13 იანვარი. (საკადესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის კაზემის ნოტა, რომელიც 12 იანვარს, საღამოს, გადაეცა ინგლისის ელჩს და რომელიც მოითხოვს 21 იანვრისათვის დახურულ იქნას ინგლისის უკლებლივ ყველა საკონსულო ირანის ტერიტორიაზე.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ირანის მთავრობა „ეველარ მოითმენს ირანის საშინაო საქმეებში ინგლისელ მოხელეთა ჩარევას პოლიციას“ და „თავის მოვალეობად და უფლებად მიაჩნია სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით“ მოითხოვოს ინგლისს ყველა საკონსულოს დახურვა ირანში. ეს მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ, ჯერ-ერთი, ინგლისის მთავრობის საკონსულოების მოხელენი ირანის სხვადასხვა პუნქტში თავიანთი საქმიანობის დროს „სცილდებიან ჩვეულებრივ საკონსულო მოვალეობათა ფარგლებს და ერევიან ირანის საშინაო საქმეებში, რაც სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დარღვევას წარმოადგენს“; მეორე, მას შემდეგ, რაც შეიქმნენ სახელმწიფოები ინდოეთი და პაკისტანი, რომელთაც შეუძლიათ თვითონ იყოლიონ თავიანთი კონსულები ირანის სათანადო პუნქტებში, ინგლისის ქვეშევრდომთა რიცხობრივი შემადგენლობა ირანში ისეთი გაწდა, რომ საჭირო აღარ არის ინგლისის მხრივ ირანის საკონსულო წარმომადგენლობის არსებობა ირანის ბევრ პუნქტში; მესამე, რამდენადაც საკონსულო ურთიერთობა ირანის მთავრობასა და ინგლისის მთავრობას შორის ემყარება ურთიერთობის პირობებს და ირანის მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ირანელთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს, ინგლისის ტერიტორიაზე არა ჰყავს არც ერთი თავისი საკონსულო, ინგლისის მთავრობისთვისაც არ არის საჭირო ჰყავდეს თავისი საკონსულოები ირანის ტერიტორიაზე.

თბილისის ბაზარი

საცხოვრებელი სახლი

სამგორის ქუჩაზე დაწყებულია ახალი დიდი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიმდინარეობს შენობის ასასრდაფე ნაწილისა და საფუძვლისათვის ქვაბულის ამოთხრა, საშენი მასალის მიზიდვა, სამშენებლო მექანიზმების გამართვა.

მშენებლობა მინდობილი აქვს თბილისმშენის მეოთხე სამშენებლო კანტორის კოლექტივს.

ზოოტექნიკურ-ინსტიტუტის კოლოლაბორატორიანი კორპუსი

საქართველოს ზ